თეოგენიურ - კოსმოგენიური ფორმულები

1. სიკეთე = <u>დიდსულოვნება</u> + <u>სულგრძელობა</u> = <u>ჭეშმარიტება</u>
ნება სიდიადე ინდივიდი

ამ ფორმულაში ურთიერთს აბალანსებს თითოეული ცნება - ანუ ამ ფორმულის მიხედვით ჭეშმარიტება სიკეთეში განცხადებული მარადიული უკვდავებაა, რომელიც ასულდგმულებს სამყაროს.

2. რწმენა = <u>სიბრძნეს + ცოდნა</u> + <u>სურვილი</u> + <u>აზრი</u> = <u>სამყარო</u>
ნება შესაძლებლობა ხსოვნა ინდივიდი

ფორმულა აღიწერება ასე: თუ გსურთ ამოიცნოთ ჭეშმარიტება, გააერთიანეთ სიბრძნე, ცოდნა და რწმენა შემეცნებითად და თქვენ იხილავთ აბსოლუტური ჭეშმარიტების ანარეკლს აზრთა სარკეში.

3. ალტრუიზმი = <u>სული</u> + <u>აზრი</u> + <u>შეხედულება</u> = <u>სიკეთე</u>
სხეული იდეა ინდივიდი ძალა

ამ ფორმულის თანახმად ალტრუიზმი განსაზღვრავს აზრობრივ კოსმოსს ანუ არეალს, რომელშიც აზრი კლდეა, ფიქრი-ოკეანე, იდეა - კლდის ზედაპირი, იდეალი-ცა, ხილო ე.წ სწრაფვა - მზე. ამ ფორმულაში აირეკლება ატლანტური სიბრძნე - სინათლეში - ცაა სიბნელე და წყვდიადშიც ცაა ნათელი.

4. მატერიალიზმი = <u>სული</u> + <u>იდეალი</u> + <u>არაცნობიერი ფსიქიკა</u> = <u>რაციონალიზმი</u>
აზრი მეხსიერება ცნობიერება ემპირია

აღნიშნული ფორმულის თანახმად, მატერიალიზმი ეფუძნება მეხსიერებას, როგორც სამყაროში მიმდინარე მოვლენათა ინდუქციურ-აბსტრაქტულად და დედუქციურ-აქსიომატურად აღმქმელ ცნობიერ ფენომენს ამაღლებულს ფილოსოფიური სუბსტანციების, მეტაფიზიკური რეალიების, ცნობიერი სამყაროსა და არაცნობიერი ფსიქიკის გამაერთიანებელი ალტრუისტული აზრობრივი ველის რანგში..

5.ეზოთერიკა = <u>მედიტაცია</u> + <u>აზრი</u> + <u>სუბსტანცია</u> + <u>ესთეტიკური ფილოსოფია</u> =
სულიერება იდეა სუბსტანტი სამყარო
= <u>ღვთაებრივი გონი</u>
ადამიანი

ამ ფორმულის თანახმად, ეგზოთერიკა ახორციელებს ადამიანთა მოდგმისა და უფლისმიერი საწყისის პროდუქტიულ შერწყმას, შესაბამისად აღნიშნული მოძღვრება ერთმანეთთან აკავშირებს არარსებულ სუბსტანციაში განცხადებულ არსებით სიმართლეს, რომელიც დაიმზირება არა ობიქტური მეცნიერული მიდგომით, არამედ ზეგრძნობადი ინტუიტიური შემეცნებით და და ადამიანთა აპოფატიკური გონით.